

თანმიმდევრული დაზიანება პოდაგრის გამო

ორგანიზმის ფუნქციებზე ზემოქმედება




ჩაწითლებული თვალები
გაღიზიანებისა და
ანთების შედეგია



პოდაგრული კვანძები
ყურზე



გულ-სისხლძარღვთა
დაზიანება



თირკმლის კენჭები,
თირკმელების უკმარისობა



ოსტეოართრიტი



შესიებული სახსრები,
ძვლების დაზიანება

თანმიმდევრული დაზიანება პოდაგრის გამო

მარტივად და გასაგებად

- პოდაგრა ნივთიერებათა ცვლის დარღვევაა. ამ დროს ორგანიზმში შარდმჟავას რაოდენობა მატულობს და არასასურველ მაღალ დონეს აღწევს.
- სისხლში შარდმჟავა აღარ იშლება და, სანაცვლოდ, წარმოიქმნება მისი ნემსისებრი კრისტალები. ეს კრისტალები ლაგდება სახსრებსა და ორგანოებში, იწვევს მათ ანთებას და შეშუპებას.
- მკურნალობის გარეშე, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი დაზიანებები ყალიბდება.
- შარდმჟავას დანალექები გამუდმებით იწვევს ძვლებისა და სახსრების დაზიანებას და რღვევას.
- თირკმელებში დალექილი შარდმჟავა კენჭებად იქცევა და ნაზი ქსოვილის დახშობას და ანთებას იწვევს. ყოველივე ეს აუარესებს თირკმელების ფუნქციას და თანდათან უფრო და უფრო მეტად აქვეითებს გამოყოფის უნარს.
- შარდმჟავას დონის მომატება საფრთხის შემცველია გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვისაც: ანთება სისხლძარღვებს ავიწროვებს და ქსოვილების სისხლმომარაგებას აუარესებს. ამდენად, მატულობს გულის შეტევის, ინსულტის და თირკმელების დაზიანების საფრთხე.
- რქოვანაში მოხვედრილი შარდმჟავა კრისტალები აღიზიანებს და აზიანებს წვრილ სისხლძარღვებს, რასაც შედეგად თვალების ჩაწითლება მოყვება.
- სისხლში გამოკრისტალებული შარდმჟავა რბილ ქსოვილებში კვანძების სახით ლაგდება. მათ ტოფუსებს უწოდებენ და, მეტწილად, ყურებზე, მტევნისა და ტერფის სახსრებში შეიძლება აღმოაჩინოთ.